პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ივნისი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 148 (14752)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1970 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

დროულად და მაღალხარისხიანად, მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ მოსავლის აღების, მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების და მათი გატანისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საკსოფლტექნიკას, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების დროული მომზადება 1970 წლის მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკსოფლტექნიკასა და გზათა სამინისტროს უფლება მიეცათ მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დაჩქარებისათვის, შექმნილი პირობების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან. შეთანხმებით 1970 წლის ივნის-აგვისტოში შეცვალონ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის გამოყოფილი ფონდებიდან მარცვლის ასალები კომბაინების მიწოდების ვადები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საკსოფლტექნიკა ვალდებული არიან 1970 წლის მოსავლის აღებისათვის „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოებში მომზადონ ავტოკოლონები, ამასთან უზრუნველყონ სატვირთო ავტომობილების დაკომპლექტება ძძლოლებით იმ ანგარიშით, რომ ერთ ავტომობილზე მოდიოდეს ორი შოფერი, აგრეთვე უზრუნველყონ ავტოკოლონები საჭირო სარემონტო-ტექნიკური საშუალებებით.

საკსოფლტექნიკას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით საჭირო შემთხვევებში უფლება აქვს „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოთა ავტოკოლონები ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან გადაგზავნოს სხვა რესპუბლიკაში მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

სატრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროები ვალდებული არიან 1970 წელს უზრუნველყონ მოსავლის ასალები სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვადამდე დამზადება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება გამოყოფილი ფონდების ანგარიშში.

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ამზადებენ და სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობას აწვდიან ტრაქტორებს, ავტომობილებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ექსკავატორების სათადარიგო ნაწილებს, დაევალათ უზრუნველყონ მათი ვადამდე გაგზავნა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სათადარიგო ნაწილების თანაბარ მიწოდებას.

1970 წლის მოსავლის აღებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო და პურის მიმღებ საწარმოებს დამატებით გამოეყოფოდ მანქანები, მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები და მასალები.

ნავთობმომპოვებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაევალა 1970 წელს დამატებით გამოიმუშაოს და მიაწოდოს ნავთობპროდუქტები მოსავლის აღების სამუშაოებისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგებასა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობას, სასოფლო მშენებლობას, პურის მიმღებ და დამამზადებელ ორგანიზაციებს მიაწოდონ ლითონი, სამშენ მასალები, ლითონის ნაწარმი და მოწყობილობა.

საშემოდგომო კულტურების ნათესებისა და მზრალად ხვნისათვის საჭირო მინერალური სასუქების რესურსების უფრო სრულად გამოყენებისა და არარაციონალური გადაზიდვის შემცირების მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საკსოფლტექნიკას, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, საჭირო შემთხვევებში ნება ეძლევათ ვადაზე ადრე მიაწოდონ სასუქები 1970 წლის მეორე ნახევარში 1971 წლის პირველი ნახევრისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა ფონდების ანგარიშში, შესაბამისი ცვლილებანი შეიტანონ ამასთან მინერალური სასუქების მიწოდების გეგმებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტრო ვალდებული არიან დროულად დამამთავრონ პურის მიმღებ საწარმოთა მომზადება 1970 წლის მოსავლის მარცვლეულის მისაღებად, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დიდტვირთიანი ავტომობილებიდან და ავტომატარებლებიდან მარცვლეულის რაც შეიძლება სწრაფად გადმოტვირთვისათვის, განახორციელონ მოქმედ ავტომობილ განმტვირთველთა რეკონსტრუქცია და ახლების დადგმა: ლობორატორიული საჭირო რაოდენობით დაკომპლექტონ პურის მიმღებ საწარმოთა ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილებანი, რათა უზრუნველყონ მარცვლეულის ხარისხის დროული და სწორი განსაზღვრა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის

(დასასრული მე-2 გვ.).

ოფიციალური ვიზიტით

24 ივნისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე მიტია რიბიჩიჩი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, საპატიო სტუმარსა და მის თანამგზავრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

24 ივნისს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინსა** და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს **მ. რიბიჩიჩს** შორის.

მოლაპარაკება გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მოლაპარაკება

24 ივნისს კრემლში გულთბილ მეგობრულ ვითარებაში განაგრძეს მოლაპარაკება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა **აღა მოჰამედ იაჰია ხანმა.** (საქდესი).

ДЕДАСАЗЕМОБЛОС 50 САДИДЕГЛАД

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც განაგრძობენ ლენინური შრომითი ვახტს და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევენ.

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე, 24 ივნისს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. თვის დამლევამდე გამოუშვებენ მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.

ყველაზე დიდი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

მრეწველობის მშრომელები, რომლებიც დაუცხრომლად აღლენენ და ამოქმედებენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ახალ გამოუყენებელ რეზერვებს, ყოველდღიურად იბრძვიან წლიური გეგმის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. (საქდესი).

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 25 ივნისისათვის შეასრულეს რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და მეტწილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების ხუთწლედის უკანასკნელი წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ქართველი ხალხის ისტორიაში ღირსშესანიშნავ თარიღს შეხვდნენ ახალი შრომითი მიღწევებით. (საქდესი).

დარბაზობა გ. დ. ჯავახიშვილთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა** 23 ივნისს მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგაჭრობის სამინისტროს დელეგაცია, რომელიც თბილისში იმყოფება უნგრეთის კულინარიის დათვალიერებასთან დაკავშირებით.

დარბაზობაზე იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე **ვილმოშ შაგი,** უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ქალაქ ბუდაპეშტის მეხუთე რაიონის რაიონული კომიტეტის მდივანი პალ ვაიდო, შინაგაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვებისა და ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილე **დიულა დიეკში,** შინაგაჭრობის სამინისტროს საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვილმოშ უტაში** და ამ სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

გ. ჯავახიშვილსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, თუ რა თვალსაჩინო მიღწევები აქვს უნგრეთს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ახლა მათ შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ უნგრეთის კულინარიის მდიდარ ტრადიციებს, რომელსაც პოპულარობა აქვს მოპოვებული მთელ მსოფლიოში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების ოსტატთა ხელოვნებას.

გ. ჯავახიშვილმა უნგრელ ამხანაგებს უსურვა წარმატებანი მუშაობაში.

ვილმოშ შაგმ თქვა, რომ მას და მის კოლეგებს ახარებთ, რომ უნგრელმა კულინარებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს საქართველოში, რომელიც სახელგანთქმულია თავისი ეროვნული სამზარეულოთი. მან იმედი გამოთქვა, რომ უნგრული კულინარიის დაინტერესება თბილისში და ქართული კულინარიის მომავალი დღეები ბუდაპეშტში ხელს შეუწყობენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, კონტაქტების დამყარებას კვების ინდუსტრიის მუშაკებს შორის, მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

სტუმრობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი **ვ. თოხაძე** და მინისტრის პირველი მოადგილე **მ. შიხაშვილი.** (საქდესი).

საბჭოთა თათრეთის დღესასწაული

მხურვალე მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტს, თათრეთის სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ თათრეთის მშრომელებს ღირსშესანიშნავ თარიღს — თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს და რესპუბლიკის დაჯილდოებას ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

განხილული ნახევარი საუკუნის მანძილზე, ნათქვამია მისალმებაში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებითა და მეგობრო თანამშრომლობით თათრეთმა აღმოფხვრა თავისი საუკუნოვანი ჩამორჩენილობა და გადაიქცა მაღალგანვითარებული თანამედროვე ინდუსტრიისა და მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

რესპუბლიკაში აღიზარდნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები, მოპოვებულია დიდი წარმატებანი კულტურა [illegible] ხალხო განათლებ[illegible] ვითარებაში, მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობის გაუმჯობესებ[illegible] თათრეთის [illegible] ტური რესპუბლიკას მშრომელთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების აყვავება დამაჯერებლად მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ თათრეთის სსსრ მშრომელები საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაიდებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის საქმეში. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 24 ივნისის ბრძანებულებით კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვა თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. (საკდესი).

საქართველოს სსრ სამოთმზარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVI ყრილობაზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მიესალმნენ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XVI ყრილობის დელეგატებს და მათი სახით — რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა წევრს.

კომუნისტური პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობს სამომხმარებელო კოოპერაციის განვითარებას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებაში, ქალაქსა და სოფლის შორის არსებითი განსხვავების დაძლევაში.

სამომხმარებლო კოოპერაცია ასრულებს არა მარტო სამეურნეო, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებსაც. სოფლის მილიონობით მცხოვრებისათვის იგი საზოგადოებრივი თვითმმართველობის სკოლაა.

ახლა, როცა საბჭოთა ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებანი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების შესახებ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესება. კიდევ უფრო იზრდება სოფლად ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციის — სამომხმარებლო კოოპერაციის როლი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის. რესპუბლიკაში ცოტა როდი მოწინავე კოოპერაციული ორგანიზაცია, რომლებიც მეპაიე წევრების აქტიურ მუშობაზე დაყრდნობით, მზრუნველად ეკიდებიან სოფლის მშრომელთა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეინარჩუნონ და კიდევ უფრო განამტკიცონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმით გამოწვეული შრომითი ენთუზიაზმი, ეკონომიური რეფორმის განხორციელებით სოფლად მოაწყონ სანიმუშო ვაჭრობა, შესახრულონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, ვადაზე გაანაღდონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებები, უზრუნველყონ შეუფერხებელი ვაჭრობა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სამენი მასალებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლით, გააუმჯობესონ საზოგადოებრივი კვება, განავითარონ კოოპერაციული მრეწველობა.

ქართველ კოოპერატორთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა ის არის, რომ გამოყოფილი საბაზრო ფონდების დამატებით ყოველდღიურად მოაქცევონ საქონელმრუნვაში ადგილობრივი რესურსები.

საქართველოს კოოპერატორთა ვალია სწრაფად აღმოფხვრან ეკონომიურ მუშაობაში, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღსრდის საქმეში, კოოპერაციული საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში არსებული ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა მტკიცედ უნდა დაიცვან კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპი, სულ უფრო განამტკიცონ კავშირი მშრომელებთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა და მეპაიეთა მრავალთასანიანი არმია ღირსეულად გაართმევს თავს დაკისრებულ ამოცანებს და კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარება პარტიასა და მთავრობას ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

კიდევ უფრო დავამშვენოთ სოფლის მშრომელთა ცხოვრება

25 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მე-16 ყრილობა.

ყრილობაზე შეიკრიბნენ სასოფლო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწინავენი, საუკეთესო დამამზადებლები, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, სასოფლო ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები, სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებულები. ბევრი ქართველი კოოპერატორი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირია.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია გადაიქცა რესპუბლიკის დიდ სამეურნეო და საზოგადოებრივ-მასობრივ ორგანიზაციად, რომელიც განუხრელად ასრულებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — აკმაყოფილებს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები შ. ჭანუსუაძე, ნ. ცხაკაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სასელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ჯაშარიძე, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერატორთა ყრილობა

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ივანოვი, საქართველოს სსრ მინისტრები.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯაბახიძემ ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

ყრილობის დელეგატების ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი.

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის საანგარიშო მოხსენება;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. სამომხმარებლო კოოპერაციის საბჭოს, სარევიზიო კომისიის, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მე-8 ყრილობის დელეგატების არჩევნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუსუაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მე-16 ყრილობისადმი.

დიდი ყურადღებით მოისმინეს დელეგატებმა მისალმების გულითადი სიტყვები. მისალმებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული კოოპერატორთა შრომას, დასახულია სოფლის მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების, სოფლად ვაჭრობის განვითარების, მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლების უნნიშვნელოვანესი ამოცანები.

ყრილობამ მოისმინა ნ. ჯაბახიძის საანგარიშო მოხსენება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მუშაობის შესახებ.

ცეკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში წაიკითხა მისმა თავმჯდომარემ ვ. ქმარაშვილმა.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს და დამტკიცეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ი. ჯოხიძის ანგარიში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. კოპაძისა, ბარდანის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ხარაბაძე, ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბუღორდაშა, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. ხარებოვი, ქარელის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. სანდოძე, პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი დ. გელაშვილი, ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს ექიმი ნ. კვანტალიანი, სამტრედიის რაიკოოპკავშირის ეკონომისტი ლ. სანიკიძე, ზუგრესის რაიკოოპკავშირის ინჟინერ-ტექნიკოსი ი. ალავერდაშვილი, გორის რაიკოოპკავშირის სოფელ მეჯვრისხევის სასურსათო მაღაზიის გამყიდველი ე. ბიბილაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე შ. ტიტმინიძე, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ივანოვი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVI ყრილობის დელეგატების ერთი ჯგუფი შესვენების დროს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ОФИЦИАЛЬНЫЙ ВИЗИТ

САКАРТВЕЛОС ГЕНЕРАЛЬНЫЙ ПЕРЕВОД ВЫПОЛНЕН

ДОКЛАД ГЕНЕРАЛЬНОГО ПЕРЕВОДА

ПРИЕМ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

სამინისტრო და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტრო ვალდებული არიან დადგენილ ვადებში უზრუნველყონ 1970 წლის ეგეგმით გათვალისწინებული ელექტროენერგიისა და მექანიზებული მარცვლეულის საწყობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ 1970 წლის მოსავლის აღებაში გამოიყენონ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სატვირთო ავტომობილები და ბორტიანი ავტომისაბმელები, მძღოლთა შემადგენლობითა და სარემონტო საშუალებებით, გარდა მთელ რიგ იმ სამინისტროთა და უწყებათა ავტომობილებისა, რომლებიც გასაზღვრულია ამ დადგენილებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დადგენონ საავტომობილო მეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე მოსავლის ასაღებად გამოყოფილი ავტომობილების მიმაგრებისა და ამ ავტომობილებიდან ავტოკოლონების ორგანიზაციის წესი, აგრეთვე უზრუნველყონ ავტომობილების მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და სარემონტო საშუალებებით.

საჭიროდ ცნეს მოეწყოს სატვირთო ავტომობილების სადღეღამისო მუშაობა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადაზიდვაზე. ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები ვალდებული არიან უზრუნველყონ მძღოლთა შემადგენლობით მოსავლის აღებაზე დასაქმებული ყველა ავტომობილი, იმ ანგარიშით, რომ ორი შოფერი მოდიოდეს ერთ ავტომობილზე, საჭიროების შემთხვევაში ჩაბან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შოფრები.

შოფრებს, შემკეთებელ მუშებს, მექანიკოსებს, ავტოკოლონების უფროსებსა და საავტომობილო მეურნეობათა დისპეტჩერებს, რომლებიც მონაწილეობენ არიან მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე სილოსის მასის გამოსატანად, ენახებით მათი საშუალო ხელფასის 75 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ მათი სტატისტიკა განაკვეთისა ძირითადი მუშაობის ადგილზე, მოვლინების მთელი დროისათვის, აღნიშნულ თანხას იხდიან საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები საკუთარი სახსრებიდან ამ მუშაკთა ძირითადი მუშაობის ადგილის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით მოვლინებულ მუშაკებს დღიური და ბინის ფული არ უნაზღაურდებათ.

დიდტვირთიან ავტომობილებსა და მისაბმელიან ავტომობილებზე (ავტომატარებლებზე) 1970 წლის მოსავლის მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაზიდვაზე მომუშავე შოფრებისათვის დაწესებულია დამატებითი პრემირება სატარიფო განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით. შოფრებს პრემია ერიცხებათ თვითეულ ცვლაში მუშაობის შედეგების მიხედვით, იმ პირობით, რომ ცვლის დავალებებს ასრულებენ სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობის განმავლობაში.

მარცვლეულის მიღების ვადების შემცირების მიზნით რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცათ პურეულის მიღების დაწყებიდან 1970 წლის 1 დეკემბრამდე უამირი მიწების რაიონებში პურის მიმღებ პუნქტებში მარცვლეულის დატვირთვისა და გადმოტვირთვაზე დასაქმებული მუშა-მტვირთველების შრომა ანაზღაურონ 50 პროცენტით გადიდებული ფასდებით, თუ ისინი ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმას.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და კომბაინერებს, რომლებიც კომბაინებით იღებენ მარცვლეულსა და სამარცვლე პარკოსან კულტურებს, საოსნელ მრავალწლიან ბალახებს, სიმინდ კოჭ სელსა და სასილოსე კულტურების, მეურნეობაში დადგენილი ხელზონური ნორმის შესრულებისათვის, თუ იღებენ მოსავალს ხარისხოვნად და უდანაკარგოდ, შეიძლება მიეცეთ ორიდან ოთხ ცენტნერამდე მარცვლეული (ანაზღაურებლად).

კომბაინის აგრეგატების სხვა მუშაკებს მიეცემათ მარცვლეული: ტრაქტორზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტს კომბაინზე მომუშავე კომბაინერისათვის დარიცხული მარცვლეულის ოდენობის 80 პროცენტი, კომბაინერის თანაშემწეს და შოფერს — 70 პროცენტ თვითეულს და მებუღალეს — 50 პროცენტი. ამასთან, მემანქანე ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და სხვა მუშაკების სურვილით, ნატურალური ანაზღაურება შეიძლება შეიცვალოს ფულით, მისაღები მარცვლეული ღირებულების ოდენობით ჩასაბარებელ ფასებში.

ციმბირის, ურალის, შორეული აღმოსავლეთისა და უკაზეთის უამირი რაიონების მეურნეობებში თვითეული კულტურის მასობრივი აღების პირველ შვიდ დღეში, ხოლო დანარჩენ რაიონებში პირველ ხუთ დღეში სამკელ მანქანებზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტებს, ღვარეულებად პურეულის მკის დროს მიეცემათ 0,5 კილოგრამამდე მარცვალი იმის მიხედვით, თუ როგორია მოსავალი და როგორია მკის პირობები, ხოლო ბარდის აღების დროს 1,5 კილოგრამამდე ყოველი აღებული ჰექტარისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ადგენენ, რა ნორმებით და წესებით უნდა გასცენ მარცვლეული საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებმა აღნიშნულ ფარგლებში.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება აქვთ 1970 წელს დაბარჯონ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და კენკრის მოსავლის ათ პროცენტამდე იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე მუშაკებს, რომლებიც ჩაბმული არიან ამ კულტურების მოსავლის აღებაში, შრომის ანაზღაურების ანგარიშში მიჰყიდონ გეგმითი თვითღირებულებით, მაგრამ არაუმეტეს საცალო ფასებისა.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ გამოიყენონ საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებისათვის ამ დადგენილებით დაწესებული წახალისებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ 1970 წელს, როგორც გამონაკლისი, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების შინაგანი რესურსების ხარჯზე, მეურნეობათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ ჩაბან ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა.

ამ დადგენილების შესაბამისად მუშებსა და მოხამსახურეებს, რომლებსაც გზავნიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსა და პურის მისაღებ საწარმოებში სამუშაოდ, ენახებათ ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტი. ნემოაღნიშნულ თანხებს საკუთარი სახსრებიდან იხდიან ის საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც ძირითადად მუშაობენ მუშები და მოხამსახურეები. ამასთან დაკავშირებით მუშებსა და მოხამსახურეებს, რომლებსაც გზავნიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ, დღიურები და ბინის ფული არ ეძლევათ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაადგინონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და პურის მიმღებ საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნილი მოსახლეობის შრომისა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების წესი.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და უკაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ნება დაერთოთ აუნაზღაურონ კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და ლაფეტიანი სამკელი მანქანების მემანქანეებს, რომლებიც სამუშაოდ წავლენ რუსეთის სფსრ და უკაზეთის სსრ უამირი მიწების რაიონებში, დროებით სამუშაო ადგილამდე მგზავრობისა და დაბრუნების ხარჯები და გადაუხადონ საშუალო ხელფასი მგზავრობისათვის საჭირო დროისა და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში ჩასვლის შემდეგ პირველი სამი დღისათვის (საშუალო ხელფასი უნდა გამოიანგარიშონ ძირითად სამუშაო ადგილზე უკანასკნელი სამი თვის ხელფასის თანხიდან). ზემოაღნიშნულ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოხდეს უამირის საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებითა და უასდებებით.

კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და ლაფეტიანი სამკელი მანქანების მემანქანეებს ენახებათ ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის 75 პროცენტი. ამ თანხას საკუთარი სახსრებიდან იხდიან ის საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც ძირითადად მუშაობენ მექანიზატორები, და ეს თანხები ხელფასის ფონდში არ შედის. ამასთან დაკავშირებით მივლინებულ მექანიზატორებს დღიურები და ბინის ფული არ ეძლევათ.

კომბაინერებს, მექანიკოს-კომბაინერებს, ტრაქტორისტებს, ლაფეტიანი სამკელი მანქანების მემანქანეებს ეძლევა ერთ ავტომობილზე (2 მძღოლი ერთ ავტომობილზე) მარცვლეულისა და შეერის ჭარხლის გატანაზე. სულ ცოტა დღეღამეში 20 საათის განმავლობაში ავტომობილების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის მათ დამატებით მიეცემათ პრემია სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ციმბირის, ურალის, ქვემო და შუა ვოლგისა და უკაზეთის სსრ უამირ რაიონებში ნებადართულია მარცვლეულის გატანაზე მომუშავე შოფრების პრემირება სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით. პრემიები უნდა დარიცხოს მუშაობის საღღეღამისო შედეგების მიხედვით, იმ პირობით, რომ შესრულებული საღღეღამისო დავალება და ავტომობილი წესრიგშია მომდევნო დღეღამის მანძილზე სამუშაოდ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ 1970 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავტომობილებზე ზემოდგენილ მუშაკებისა და ორგანიზაციების ტრაქტორები და ავტომენაზმისმიდები მძღოლთა შემადგენლობით, აგრეთვე ტრაქტორისტ-მემანქანეები და სხვა მექანიზატორები და შოფრები ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს ამ ორგანიზაციების საგეგმო დავალებათა შესრულებას.

ტექნიკის გადაზიდვასთან და ზემოაღნიშნული მუშაკების სამუშაო ადგილზე მიყვანასა და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ანაზღაურონ საკუთარი სახსრებით იმ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ მუშაკებსა და ტექნიკას გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ვალდებულია, გამონაკლისის სახით, 1970 წლის 1 ნოემბრამდე ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს (ყველა სისტემისა), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საკოოპერატექნიკის ჯიშთსაშენებსა და ცხენთსაშენებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, საცდელ და სასწავლო მეურნეობებს, აგრეთვე პურის მიმღებ საწარმოებს, „სოფლტექნიკის“ რაიონულ და სარაიონთაშორისო გაერთიანებებს (განაყოფლებებს), მაღაზიებსა და ბაზებს, რომლებსაც ფონდი სური სიმინდენი აქვთ, მათი [illegible] ბუთებული თხოვნით მისცენ [illegible] ლევადიანი კრედიტი სათესლე ნაწილების, სარემონტო მასალების, ნავთობპროდუქტების, სამანქანო-სატრაქტორო პარკისა და სატვირთო ავტომანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა, მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტი ცალკეულ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც გადაუვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, მოსავლის ასაღებად ტექნიკის ხარჯების ასანაზღაურებლად, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა სსრ კავშირის სახბანკის ნესხის ვადაგასული დავალიანება.

გზათა სამინისტრო, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრო და საზღვაო ფლოტის სამინისტრო ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ უპირველეს ყოვლისა (გეგმით) ვაგონები, გემები და კონტეინერები მიაწოდონ მანქანების, მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, ავტომობილის სალტეების, ლითონის ნაგლინის, ნავთობპროდუქტების, სამშენებლო კონსტრუქციების, არამაღნეული და სხვა მასალების დატვირთვისათვის და კონტროლი დაუწესონ რკინიგზებითა და წყალსავალი გზებით, იმ მარშრუტებისა და გემების მსვლელობას, რომლებსაც მოაქვთ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობისათვის, პურის მიმღები საწარმოებისათვის, სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების, ელეკტრორის, კომბინირებული საკვების საწარმოების, წისქვილებისა და სხვა იმ ობიექტების მშენებლობებისათვის განკუთვნილი ტვირთი, რომლებიც დაკავშირებულია 1970 წელს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და დაცვის უზრუნველყოფასთან.

თუ საჭირო გახდა ზეგეგმითი ტვირთზიდვა, უზრუნველყონ ვაგონების, გემებისა და კონტეინერების მიწოდება ზემოაღნიშნული ტვირთების გადაზიდვისათვის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სოფლტექნიკამ უნდა უზრუნველყონ 1970 წლის მოსავლის აღებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების მოზვერნებით ხარჯვა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, რაიონულ კომიტეტებსა და სამრეწველო საწარმოთა პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეფობის წესით დაეხმარონ სამრეწველო საწარმოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1970 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების მოზადებასა და დამთავრებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველ დონეს იხმარენ, რათა 1970 წელს მიიღონ მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსთვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

საპატიო იუგოსლავი სტუმრის პატივსაცემად

სსრ კავშირის მთავრობამ 24 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერალური რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მიტია რიბიჩიჩის პატივსაცემად.

მეგობარი ქვეყნის მთავრობის მეთაურად ერთად სადილზე იყვნენ მისი თანამხლები ოფიციალური პირები, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვლადკო მიჩუნოვიჩი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, კ. ვ. კატუშევი და სხვები.

სტუმრებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

საბჭოთა მთავრობის სახელით იგი გულითადად მიესალმა მ. რიბიჩიჩს, ყველა იუგოსლავ ამხანაგს, როგორც მომქმე სოციალისტური იუგოსლავიის ხალხის წარმომადგენლებს.

საბჭოთა მთავრობა, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტურ-იუგოსლავიასთან მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების კურსს. ჩვენს ურთიერთობას იუგოსლავიასთან, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას, საფუძვლად უდგას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, მარქსისტულ-ლენინური პრინციპები. საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს განსაზღვრული კეთილგანწყობილი ურთიერთობა ამ პრინციპებით იხელმძღვანელოს თავის ურთიერთობაში იუგოსლავიასთან, რადგან ეს პრინციპები შეესაბამება ჩვენი ყოფიერების სოციალისტურ ბუნებას, გამოხატავს საერთაშორისო ურთიერთობაში სოციალისტური დემოკრატიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შეუძლიათ დიდი უპირატესობა მოიპოვონ ურთიერთ თანამშრომლობიდან და კიდევ უფრო განამტკიცონ ურთიერთობა, განამტკიცონ ურთიერთ ნდობა.

როცა ამას ვამბობთ, სრულიადაც არ ვივიწყებთ, რომ ჯერ კიდევ არის გარკვეული განსხვავებანი ჩვენს შეხედულებებში ცალკეულ საკითხებზე. ეს წინათაც იყო ცნობილი, და ჩვენ, კომუნისტ-ლენინელებს, არ შეგვიერის თვალი ავარიდოთ ამას. პირიქით, ყველა საკითხის უშუალო და ამხანაგური განხილვა ხელს შეუწყობს იმას, რომ ერთობლივი ღონისძიებებით აღმოვფხვრათ ყველაფერი, რაც ხელს უშლის საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის განვითარებას.

და თუ ორივე მხარე გულწრფელად დაინტერესებულია ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებით, ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა განთავისუფლდება ყოველივე იმისაგან, რაც არ უწყობს ხელს მის ყოველმხრივ განვითარებას. იუგოსლავიის ხალხთან საბჭოთა ხალხს ბევრი რამ აერთიანებს: ისტორიული მეგობრობა, ფაშიზმის წინააღმდეგ ერთად ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის წლებში, სოციალური წყობილების ერთობა, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესები, ყველა ერთად აღებული ეს ფაქტორები ქმნიან მტკიცე საფუძველს, რომელზეც წარმატებით შეიძლება ბრიგადიერდეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობის პრაღის განცხადებას, იუგოსლავიამ გამოხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება თათბირის მომზადებისადმი, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა ამ საკითხში, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის, კარგ შედეგს მოიტანს.

სოციალისტური ქვეყნები წამყვან როლს ასრულებენ მთელი პროგრესული ძალების ბრძოლაში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ამიტომ მათი შეკავშირება და ერთიანობა მთელი ანტიიმპერიალისტური და ანტიმილიტარისტული ფრონტის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩვენი ქვეყნების შემდგომ დაახლოება, მათი თანამშრომლობის გაფართოება ყველა სფეროში — საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურული ურთიერთობის სფეროში შეესაბამება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ინტერესებს და ჩვენს ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

კარგად გვახსოვს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ტიტოს ვიზიტი საბჭოთა კავშირში, რომელმაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობისა და საერთაშორისო საქმეებში თანამშრომლობის განვითარებას. ნება მიბოძეთ ამხანაგო რიბიჩიჩ, გამოვთქვა რწმენა, რომ ამასვე შეუწყობს ხელს თქვენი ახლანდელი ვიზიტი.

ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვა სადღეგრძელო, რომელშიც განმტკიცებად უსურვა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთგაგებისა და ნდობას, ყოველმხრივ ნაყოფიერ თანამშრომლობას, საბჭოთა და იუგოსლავ ხალხთა მეგობრობას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მიტია რიბიჩიჩმა.

სიტყვის დასაწყისში მ. რიბიჩიჩმა მადლობა გადაიხადა საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მოწვევისა და ყოლმიანი მასპინძლობისათვის.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, თქვა მან, რომ ეს შესვლდრა მიმდინარეობს იმ წელს, როცა ზეიმობთ სოციალისტური რევოლუციის დიდი სტრატეგისა და მოაზროვნის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, რომელიც იუგოსლავიაშიც გახდა თანამედროვე პირობებში სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების დიდი სტიმული.

მოგვაწონა, თქვა შემდეგ მ. რიბიჩიჩმა, რომ ჩვენი ვიზიტი მეგობარ საბჭოთა კავშირში უპირველეს ყოვლისა ადასტურებს ჩვენს ფირთო თანამშრომლობას და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ და გავაფართოოთ იგი ბევრ დარგში, სადაც ხელი ერთად ინტერესებ გვაქვს, დასაბოთ ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის შემდგომი განვითარების რეალური პერსპექტივა.

იუგოსლავიას, სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც ღია აქვს კარი ყველაზე ფართო კონსტრუქციული და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, სურს, რომ სსრ კავშირი კვლავაც თვალსაჩინო ადგილზე იყოს მის საერთაშორისო ურთიერთობაში. იუგოსლავია ღრმად დარწმუნებულია, რომ ეს შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ნამდვილ და წარუვალ ინტერესებს. კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარდება თანამშრომლობა ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ შეცნიერულ, კულტურულ, თავდაცვითს და სხვა დარგებში.

როგორც სოციალისტური და მუშურმოდელი ქვეყანა, განაგრძო მან, იუგოსლავია სრული ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ახორციელებს მეგობრობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის აქტიურ პოლიტიკას ყველა ქვეყანასთან, რომლებსაც ეს სურთ.

ჩვენი ქვეყანა, თქვა მ. რიბიჩიჩმა, უწინარეს ყოვლისა აქტიურად იღვწის ევროპის ქვეყნების ყოველმხრივი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის. ჩვენ დადებითად ვაფასებთ მოლაპარაკებას, რომელსაც ახლა აწარმოებენ ევროპის ქვეყნები, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ევროპის საზღვრების შეუვალობასა და უშიშროებას. ეს კი, უეჭველია, ევროპის მყარი მშვიდობისა და თანამშრომლობის არსებითი პირობაა. აგრეთვე მიგვაჩნია, რომ ევროპის თათბირი, რომელსაც მზარს უჭერენ ორივე ჩვენი ქვეყნის მთავრობები და რომელზეც ევროპის ყველა სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობით განვიხილავდით ევროპის ქვეყნების თანამშრომლობისა და უშიშროების არსებით საკითხებს, დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ევროპის ქვეყნების ურთიერთობისა და უშიშროების სისტემის შექმნის გზაზე.

ჩვენში კვლავ დიდ შემფოთებას იწვევს მოვლენათა განვითარება ახლო აღმოსავლეთში, რაც იმის შედეგია, რომ ისრაელი განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. ამ რაიონში ბრიზისის ასეთი განვითარება, რომელსაც მოსდევს სულ უფრო უარყოფითი და საშიში შედეგები, მოითხოვს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების აქტივიზაციას.

ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ხალხების სამართლიან და გმირულ ბრძოლას ჩვენ თავიდანვე ვუჭერთ მხარს და ვუცხადებთ სოლიდარობას, თქვა მ. რიბიჩიჩმა. ამ რაიონში კრიზისის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ გამოიყვანონ ჯარები ამ ქვეყნების ტერიტორიიდან, იმ გზით, რომ ცნონ ინდოჩინეთის ხალხთა უფლება თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი.

იუგოსლავია აქტიურად იღვწის აგრეთვე სხვა აქტუალური საერთაშორისო პრობლემების, ისეთი პრობლემების გადაჭრისათვის, როგორიც არის კოლონიური სისტემის ლიკვიდაცია, განიარაღება და სხვ.

დასასრულ ორატორმა კვლავ გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი მოლაპარაკება სასარგებლო იქნება, და საბჭოთა ხალხს მიეფიცა ახალი წარმატება კოსმოსის ათვისებაში.

მ. რიბიჩიჩმა აღფრთოვანებულ საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, საბჭოთა ხელმძღვანელები, ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების წარმატებები თანამშრომლობა და მეგობრობა, მშვიდობა და სოციალიზმი.

ამხანაგების ა. ნ. კოსიგინისა და მიტია რიბიჩიჩის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში გაისმოდა ტაში.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ა. მოჰამად იაჰია ხანმა** 23 ივნისს საუბარ გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნიცა** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** პატივსაცემად.

სტუმრებს სიტყვით მიმართა პაკისტანის პრეზიდენტმა გენერალმა **ა. მოჰამად იაჰია ხანმა.** ჩვენი ორი ქვეყნის და ამ ორი ოი ხალხის ურთიერთობას, თქვა მან, ახასიათებს გულთბილობა და ურთიერთგაგება. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოებს იცხოვრონ კეთილმეზობლურად.

ამის მიზეზების გაგება ძნელი როდია. ჩვენი თვალსაზრისი ბევრ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე ერთმანეთს ემთხვევა. როგორც თქვენ, ისევე ჩვენც ვისურვებთ ჩვენი ხალხების ცხოვრების გაუმჯობესების რთულ და კეთილშობილურ ამოცანას. თქვენც და ჩვენც გვესაჭიროება მშვიდობა, რათა გავაერთიანოთ რესურსები ჩვენი ხალხების კეთილდღეობისათვის. ამიტომ განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ ორმხრივი ურთიერთობის თვალსაზრისით ჩვენმა მოლაპარაკებამ საშუალება მოგვცა გაგვეგია და შეგვემუშავებინა ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩვენი ხალხების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მეთოდები.

გვქონდა აგრეთვე აზრთა უაღრესად სასარგებლო ურთიერთგაზიარება მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. დიდად ბეწუხებს მდგომარეობა, გაფაროსებულ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიული პოლიტიკის შედეგად, რომელიც ამჟამად ბედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებსა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ჩვენი აზრით, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ისრაელმა მთლიანად გაიყვანოს შეპარალებული ძალები მის მიერ 1967 წლის ივნისში ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან და უშიშროების საბჭომ 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის მთლიანად განხორციელების გზით. პალესტინელი ხალხის სამართლიან უფლებათა აღდგენა აგრეთვე კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებელი პირობაა.

ამ ამოცანებიდან ზოგიერთ [illegible] ნაწილს შემოიღონ ამ შოფრების დამატებითი პრემირება, რომლებიც ორ ცვლად მუშაობენ (2 მძღოლი ერთ ავტომობილზე) მარცვლეულისა და შეერის ჭარხლის გატანაზე. სულ ცოტა დღეღამეში 20 საათის განმავლობაში ავტომობილების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის მათ დამატებით მიეცემათ პრემია სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ციმბირის, ურალის, ქვემო და შუა ვოლგისა და უკაზეთის სსრ უამირ რაიონებში ნებადართულია მარცვლეულის გატანაზე მომუშავე შოფრების პრემირება სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით. პრემიები უნდა დარიცხოს მუშაობის საღღეღამისო შედეგების მიხედვით, იმ პირობით, რომ შესრულებული საღღეღამისო დავალება და ავტომობილი წესრიგშია მომდევნო დღეღამის მანძილზე სამუშაოდ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ 1970 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავტომობილებზე ზემოდგენილ მუშაკებისა და ორგანიზაციების ტრაქტორები და ავტომენაზმისმიდები მძღოლთა შემადგენლობით, აგრეთვე ტრაქტორისტ-მემანქანეები და სხვა მექანიზატორები და შოფრები ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს ამ ორგანიზაციების საგეგმო დავალებათა შესრულებას.

ტექნიკის გადაზიდვასთან და ზემოაღნიშნული მუშაკების სამუშაო ადგილზე მიყვანასა და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ანაზღაურონ საკუთარი სახსრებით იმ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ მუშაკებსა და ტექნიკას გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ვალდებულია, გამონაკლისის სახით, 1970 წლის 1 ნოემბრამდე ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს (ყველა სისტემისა), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საკოოპერატექნიკის ჯიშთსაშენებსა და ცხენთსაშენებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, საცდელ და სასწავლო მეურნეობებს, აგრეთვე პურის მიმღებ საწარმოებს, „სოფლტექნიკის“ რაიონულ და

საქართველოს პრემიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სტუმრ

საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას

საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და სსრ კავშირთან მეგობრობის საზღვარგარეთის საზოგადოებათა აქტივისტების მოსკოვის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის წარმოშობა განუყრელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან. გამოჩენილმა მოაზროვნემ და რევოლუციონერმა, ხალხთა თანასწორობისათვის, მშვიდობისათვის, მეგობრობისა და ძმობისათვის შებრძოლმა, რომელიც გულისწყრომით გმობდა შოვინიზმისა და რასიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ყველა მშრომელთა მეგობარმა და მასწავლებელმა ლენინმა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ახალი გზა გაუხსნა კაცობრობას. ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ხალხების განთავისუფლება კოლონიალიზმისაგან, მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და უშიშროებისათვის, მათი უფლება თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი.

სსრ კავშირის ისტორიული დაბსახურებაა მისი ფასდაუდებელი წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში.

კაცობრობა არასოდეს არ დავიწყებს საბჭოთა ხალხის გმირულ ღვაწლს, იმ დიად მსხვერპლს, რაც მან გაიღო ფაშისტური დამონების საფრთხისაგან შორფლეის გადასარჩენად. ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა კავშირმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სახელმწიფო, ეკონომიურ და კულტურულ შენებლობაში. ეს წარმატებები შთამაგონებელი მაგალითია ხალხებისათვის, რომლებიც სოციალურ პროგრესს, ნათელ მომავალს ეს ფრაფვიან.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ იდეებს მკაფიოდ გამოხატავს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრიობის ფართო წრეებს, რომლებსაც აერთიანებენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ორგანიზაციები.

დღეს კაცობრობის მომავალს განსაზღვრავენ ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ლენინს მიაჩნდა სოციალისტური პროგრესის ნამდვილ მატარებლებად.

შეხვედრის მონაწილენი „ყაფოფილებით აღნიშნავენ, რომ ლენინის ნათელი ხსოვნისათვის სსრ კავშირთან მეგობრობის საზოგადოებებმა მსოფლიოს ყველა ნაწილში და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებებმა ფართოდ და ღირსეულად აღნიშნეს მისი დაბადების 100 წლისთავი.

ამ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა მიიღო ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის სხვადასხვა თაობის მილიონობით ქალმა და კაცმა.

შეხვედრის მონაწილენი კვლავაც განაგრძობენ საქმიანობას, რათა განამტკიცონ საბჭოთა ხალხის და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა. განამტკიცონ მშვიდობა და უშიშროება.

მადლობით შეავსებდნ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის წერილს.

ყველა ჩვენგანისათვის ამ საბახსოვრო დღეებში კაცობადობა ჩვენს ურყევ მისწრაფებას — ბეჭითად ვიშრომოთ ჩვენი ხალხების თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ და გავაქტიურეთ ბრძოლა მშვიდობისა და მეგობრობის იდეალებისათვის, რომლებისთვისაც ცხოვრობდა და იბრძოდა ლენინი.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ხელმძღვანელობის სრულყოფის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებაში დანიშნულია პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ინფორმაციების რეფერატები მოსმენა. იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, ბიუროსა და სამდივნოს გადაწყვეტილებებს.

განყოფილებებში საინფორმაციო მოხსენებებს აკეთებენ პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები. ამ მოლო ხანს, მაგალითად, მოისმინეს პარტიის ასპინძისა და მუხრანის რაიკომების პირველი მდივნების ლ. ისპასიანისა და მ. გეზიმიანის ინფორმაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მსვლელობის შესახებ, პარტიის თეთრწყაროსა და ზესტაფონის რაიკომების პირველი მდივნების ი. ელიზბარიანისა და შ. ჭერულაშვილის ინფორმაციები მუშაობაზე, რომელიც პარტიის რაიკომებმა გასწიეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებებზე რეაგირებისათვის, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ო. ბოჭოიძის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1969 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებას „საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა კომკავშირული კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის“.

ინფორმაციებში გაანალიზებულია საქმის მდგომარეობა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართო სპექტრის, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურული ცხოვრების, ეროვნული ურთიერთობის ორგანიზაციები.

ანგარიშებიდან ჩანს, ბევრ ადგილას ეკონომიკურ ეფექტიანობა ამაღლდა, ეფექტიანად ფუნქციონირებენ ინდუსტრიული საწარმოები, ინტენსიურად ვითარდება სოფლის მეურნეობა, ინტენსიურ ხასიათს ატარებენ ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ადამიანთა ყოფის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებანი. ეროვნული ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს, ეროვნული კულტურა, ადამიანთა ყოფა ამაღლდა,

„სპიკა-9“ კოსმოსური სპეკტაკლის ფრენის პირველი შედეგები

სახელმწიფო კომისიის დასკვნითი სხდომა

ვარსკვლავთა ქალაქი, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ. დ. დმიტრიევი). დღეს ვარსკვლავთა ქალაქში, სადაც ფრენის შემდეგ ისვენებენ და თავიანთ დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს განაზოგადებენ კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი, გაიმართა სახელმწიფო კომისიის დასკვნითი სხდომა, რომელიც ფრენის პირველ შედეგებს მიეძღვნა. სხდომაზე კოსმონავტებმა ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე, მოწყობილ უქსპერიმენტებზე, განიხილეს „სოიუზ-9“ კოსმოსური პილოტირებული ხომალდით 18 დღის ფრენის შედეგად მიღებული სამეცნიერო-ტექნიკური მასალების დამუშავების შემდგომი წესი.

იმავე დღეს გაიმართა ფრენიდან დაბრუნების შემდეგ ა. გ. ნიკოლაევისა და ვ. ი. სევასტიანოვის პირველი პრეს-კონფერენცია. ისინი შეხვდნენ საინფორმაციო საagენტოების, ცენტრალური გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს.

ნაშრომები — განსახილველად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა დაიწყო 1971 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოპოვებისათვის ნაშრომების მიღება. განსახილველად მიიღება მეცნიერული შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში არაუგვიანეს ერთი წლისა კანდიდატურების წარდგენის დადგენილ ვადამდე, ტექნიკისა და წარმოების დარგის ნაშრომები კი სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის შემდეგ.

ნაშრომები მიიღება ამა წლის 15 დეკემბრამდე.

ნაშრომების გიფართოების წესის შესახებ ყველა საკითხზე უნდა მიმართოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სამდივნოს — მოსკოვი, კ-51, ნეგლინაია ქუჩა, სახლი № 29/14.

დამთავრდა ევროპის საერთაშორისო

პირველი ვიოლინოები

მევიოლინეთა კონკურსის ჟიურიმ გამოაცხადა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის IV საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები და დიპლომანტები. ამ შემოქმედებითი შეჯიბრების ფინალში მონაწილეობდა ავსტრალიის, ბულგარეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, აშერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის 12 მუსიკოსი.

პირველი პრემია და ლაურეატის ოქროს medali მიენიჭა **გიდონ კრემერს** (სსრ კავშირი). **მეორე პრემიები** და ვერცხლის medlebi დაიმსახურეს **ვლადიმერ სპივაკოვმა** (სსრ კავშირი) და **მიიუმი ფუჯიკავამ** (იაპონია), **მესამე პრემიითა** და ბრინჯაოს medlebit დაჯილდოვდა **ლიანა ისაკაძე** (სსრ კავშირი).

მეოთხე პრემიები გადაეცემათ ტატიანა გრინდენკოსა და ანდრია კოროსკოვს (ორივე — სსრ კავშირი), **მეხუთე პრემიას** მიიღებს გლენ დიქტეროვი (ამერიკის შეერთებული შტატები), **მეექვსე პრემიას** — ანდრია აგოსტონი (რუმინეთი).

ჟიურის დიპლომებით დაჯილდოვდნენ სტანკა ჟელევა (ბულგარეთი), გიორგი კნელერი (სსრ კავშირი), ჯეფრი მაიკლსი (ავსტრალია), პოლ როზენტალი (ამერიკის შეერთებული შტატები).

გამოჩენილი კიანისტები

ისე მოხდა, რომ პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის IV საერთაშორისო კონკურსზე, როცა უკვე ცნობილი იყო ყველა შეჯიბრების ლაურეატთა სახელი, პიანისტთა კონკურსის ჟიურის ჯერ კიდევ ჰქონდა დასკვნითი სხდომა. და აი შუაღამის შემდეგ, 24 ივნისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამოაცხადეს ჟიურის გადაწყვეტილება.

პირველი პრემიები და ოქროს medlebi დაამსახურეს ვლადიმერ კრაინევმა (სსრ კავშირი) და ჯონ ლილმა (დიდი ბრიტანეთი). **მეორე პრემია** და ვერცხლის medali წილად ხვდა **ჰორაციო გუტიერესს** (ამერიკის შეერთებული შტატები), **მესამე პრემია** და ბრინჯაოს medlebi მიიღეს **არტურ მორეირა-ლიმამ** (ბრაზილია) და **ვიქტორია პოსტნიკოვამ** (სსრ კავშირი). **მეოთხე პრემია** მიენიჭა არკადი სევიდოვს (სსრ კავშირი), **მეხუთე** — ჯეიმს ტოკოს (ამერიკის შეერთებული შტატები).

ხუთი მუსიკოსი დაჯილდოვდა **დიპლომებით.** ესენი არიან ბორის პეტრუშანსკი (სსრ კავშირი), ალბერტო რეიესი (ურუგვაი), პოლ რუტმანი (ამერიკის შეერთებული შტატები), ვლადიმერ სელეგოროინი და იური სლესარევი (ორივე სსრ კავშირიდან).

* * *

სურათზე: ლიანა ისაკაძე.
(საქდესის ფოტოქრონიკა).



„ციასკრის“ ფინალი

ოთხ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის — „ციასკრის“ რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი. ფინალში მონაწილეობდნენ: თბილისის მე-11 და 72-ე, ბათუმის მე-5, ქუთაისის მე-7, რუსთავის მე-11, ფოთის მე-7, თელავის მე-6, გორის მე-6, ზესტაფონის მე-3, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მე-2, ლაგოდეხის რუსული, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის, გორის რაიონის სოფელ კარალეთის საშუალო სკოლებისა და ცხინვალის რაიონის ქურთის საბავშვო სახლის ნორჩ არმიელთა რაზმები.

ფინალის მონაწილეთ მიესალმნენ საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის — „ციასკრის“ რესპუბლიკური შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ი. იურპოლსკი, საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, მომძე სომხეთიდან სტუმრად ჩამოსული ნორჩი არმიელები.

ფინალში მონაწილე ყველა რაზმი გამარჯვებულია. მათ ჯილდოები და საპატიო სიგელები გადაეცათ. ყველაზე საუკეთესოდ კი გორის მე-6 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები მიიჩნიეს, მაფუ დაუშვეს ასპარეზობის ალმი.

წინ კიდევ დიდი და საინტერესო გზაა, მომავალ ფინალურ ასპარეზობათა სათავე — ჩვენი მომავალი თაობის სიმტკიცისა და გმირობის საფუძველი.

სურათებზე: (ზემოთ) — „ციასკრის“ „კარვების ქალაქი“; მარჯვნივ — გამარჯვებული გორის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეები ალმის დაშვების შემდეგ.

ფოტო ა. კავკასიძისა და ს. ედიშერაშვილისა.



„სოიუზ-9“ კოსმოსური ფრენის პირველი შედეგები

სახელმწიფო კომისიის დასკვნითი სხდომა

ვარსკვლავთა ქალაქი, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ. დ. დმიტრიევი). დღეს ვარსკვლავთა ქალაქში, სადაც ფრენის შემდეგ ისვენებენ და თავიანთ დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს განაზოგადებენ კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი, გაიმართა სახელმწიფო კომისიის დასკვნითი სხდომა, რომელიც ფრენის პირველ შედეგებს მიეძღვნა. სხდომაზე კოსმონავტებმა ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე, მოწყობილ უქსპერიმენტებზე, განიხილეს „სოიუზ-9“ კოსმოსური პილოტირებული ხომალდით 18 დღის ფრენის შედეგად მიღებული სამეცნიერო-ტექნიკური მასალების დამუშავების შემდგომი წესი.

იმავე დღეს გაიმართა ფრენიდან დაბრუნების შემდეგ ა. გ. ნიკოლაევისა და ვ. ი. სევასტიანოვის პირველი პრეს-კონფერენცია. ისინი შეხვდნენ საინფორმაციო საagენტოების, ცენტრალური გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს.

ბაკურიანი — „ოლიმპიადა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ციასკრის“ ფინალი

ოთხ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის — „ციასკრის“ რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი. ფინალში მონაწილეობდნენ: თბილისის მე-11 და 72-ე, ბათუმის მე-5, ქუთაისის მე-7, რუსთავის მე-11, ფოთის მე-7, თელავის მე-6, გორის მე-6, ზესტაფონის მე-3, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მე-2, ლაგოდეხის რუსული, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის, გორის რაიონის სოფელ კარალეთის საშუალო სკოლებისა და ცხინვალის რაიონის ქურთის საბავშვო სახლის ნორჩ არმიელთა რაზმები.

ფინალის მონაწილეთ მიესალმნენ საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის — „ციასკრის“ რესპუბლიკური შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ი. იურპოლსკი, საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, მომძე სომხეთიდან სტუმრად ჩამოსული ნორჩი არმიელები.

ფინალში მონაწილე ყველა რაზმი გამარჯვებულია. მათ ჯილდოები და საპატიო სიგელები გადაეცათ. ყველაზე საუკეთესოდ კი გორის მე-6 საშუალო სკოლის ნორჩი არმიელები მიიჩნიეს, მაფუ დაუშვეს ასპარეზობის ალმი.

წინ კიდევ დიდი და საინტერესო გზაა, მომავალ ფინალურ ასპარეზობათა სათავე — ჩვენი მომავალი თაობის სიმტკიცისა და გმირობის საფუძველი.

სურათებზე: (ზემოთ) — „ციასკრის“ „კარვების ქალაქი“; მარჯვნივ — გამარჯვებული გორის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეები ალმის დაშვების შემდეგ.

ფოტო ა. კავკასიძისა და ს. ედიშერაშვილისა.

ფიფა-ს კონგრესზე

ბეიჯინგი. (საკდესი). სტენლი როუზი ხელახლა აირჩიეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად შემდგომი ოთხი წლისათვის. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 138 მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს ამ ერთადერთ კანდიდატურას, რომელიც კონგრესმა დაასახელა. კონგრესი დღეს გაიმართა ბეიჯინგში. ურუგვაისა და სენეგალის დელეგატებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

— კონგრესი სინტერესო იყო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელახლა არჩეულმა ვიცე-პრეზიდენტმა ვ. გრანატკინმა. — მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები, რაც მოწმობს, რომ წარმატებით ვითარდება ფეხბურთი ამ კონტინენტზე. მათი ინიციატივით მიღებულია დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრთა რიცხვიდან რასისტული როდეზიის დროებით გარიცხვის შესახებ. სესიაზე შეტანილი იყო წინადადებანი, რომლებიც ეხება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების შეცვლას, მაგრამ ამ წინადადებებს მხარი არ დაუჭირეს.

ბრაზილია ჩემპიონებს შეხვდა

რიო-დე-ჟანეირო, 24 ივნისი. (საკდესის კორ. პ. ბოგატირიოვი). ბრაზილია როგორც ვმირებს ისე შეხვდა მექსიკიდან დაბრუნებულ ეროვნული ნაკრები გუნდის ფეხბურთელებს, რომლებმაც მესამეჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის სამპიონი წოდება. ბრაზილიაში 23 ივნისი არასამუშაო დღედ იყო გამოცხადებული.

ზეიმი დაიწყო ქალაქ ბრაზილიაში, სადაც პირველად დაჯდა მეხიკოდან მფრინავი თვითმფრინავი. ფეხბურთელები მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა გარასტაზუ მედისიმ პრეზიდენტის სასახლეში. სპორტსმენებს მქუხარედ მიესალმა მოედანზე შეკრებილი 70 ათასი კაცი.

გრანდიოზული იყო შეხვედრა გამარჯვებულებთან რიო-დე-ჟანეიროში, სადაც ისინი სლამოს ჩამოფრინდნენ. წვიმის მიუხედავად, ქალაქის ქუჩებში გამოვიდა საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი მილიონზე მეტი მცხოვრები. ისინი მიესალმნენ სპორტსმენებს, რომლებიც ღია მანქანებით მიდიოდნენ. შემდეგ ჟიოში დაიწყო და დილამდე გაგრძელდა „გამარჯვების კარნავალი“.

ბაკურიანი — „ოლიმპიადა“

ბაკურიანი — „ოლიმპიადა“

ბაკურიანი — „ოლიმპიადა“